

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ აგვით, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

**ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნებისათვის
საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ
საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის
გამოყოფის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით გამოიყოს ხელოვნების ცენტრის შენობა, მდებარე: ქ. ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქ.№1.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შენობაში საარჩევნო ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება განხორციელდეს იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს აღნიშნულ შენობაში განსახორციელებელ (ჩასატარებელ) კულტურულ და სხვა ღონისძიებებს, რისთვისაც N79-ე ბათუმის საოლქო-საარჩევნო კომისიას და ხელოვნების ცენტრის ადმინისტრაციას ეთხოვოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთ-კოორდინირებული საქმიანობა.

3. წინამდებარე განკარგულების შესახებ ეცნობოს N79-ე ბათუმის საოლქო-საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გამოყოფონ ის შენობა-ნაგებობა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ამ მიზნით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაუთმონ იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ნორმის შესრულების მიზნით, განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყოფა (განსაზღვრა) საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

ბ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

გ) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

დ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ე) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი

ნუკრი დეკანაძე